

## შპს "გუგ"-ის მომსახურების წესები და პირობები

### გამოყენების პირობები

წინამდებარე წესები და პირობები სავალდებულოა თქვენთვის და კომპანია შპს "გუგ"-ისთვის. გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ მოცემულ წესებსა და პირობებს. თქვენი ვებ-გვერდზე ღარეგისტრირება ერთმნიშვნელოვნად გულისხმობს, რომ თქვენ სრულად წაიკითხეთ წინამდებარე დოკუმენტი, ეთანხმებით მის ყველა დებულებას და კისრულობთ ვალდებულებას განუხრელად დაიცვათ იგი. ყველა ქვემოთ ხსენებული პირობა არეგულირებს თქვენს მიერ ვებ-გვერდითა სარგებლობას. თუ თქვენ არ ეთანხმებით ამ პირობებს, უნდა შეწყვიტოთ რეგისტრაციის პროცესი, ვებ-გვერდითა და ჩვენი მომსახურებით სარგებლობა.

### წესები და პირობები

ვებ-გვერდის გამოყენების წესები და პირობები (შემდგომში: "ხელშეკრულება") წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მომხმარებელსა და შპს "გუგ"-ს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას.

### პრეამბულა

წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება მომხმარებელს სთავაზობს შესაძლებლობას ონლაინ აირჩიოს მისთვის სასურველი ავტოსაგრანსპორტო საშუალების გექდათვალიერების სერვისის ცენტრი და წინასწარი დაჯავშნის საფუძველზე უზრუნველყოს ავტოსაგრანსპორტო საშუალების გექდათვალიერება, ასევე სურვილის შემთხვევაში წინასწარ გადაიხადოს მომსახურების საფასურის გადახდა.

### ტერმინთა განმარტებები:

"კომპანია" - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შემლუღული პასუხისმგებლობის საზოგადოება სახელწოდებით შპს "გუგ" ს/ნ 405152873;

"მომხმარებელი" - ქმელუნარიანი ფიზიკური პირი, რომელიც ღარეგისტრირებულია ვებ-გვერდზე PTI.GE.

"მომხმარებლის რეგისტრაცია" - ვებ-გვერდის მეშვეობით "კომპანია"-ის მიერ დადგენილი ფორმის მომხმარებლის მიერ შევსება;

"მხარეები" - "კომპანია" და "მომხმარებელი" ერთად;

"მხარე" - "კომპანია" ან "მომხმარებელი" ცალ-ცალკე;

### 1. ხელშეკრულების საგანი:

1.1 "კომპანია" უზრუნველყოფს მომხმარებლის 24 საათიან თავისუფალ წვდომას ვებ-გვერდზე, რომლის მეშვეობითაც მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს აირჩიოს მისთვის სასურველი ავტოსაგრანსპორტო საშუალების გექდათვალიერების სერვისის ცენტრი და წინასწარი დაჯავშნის საფუძველზე უზრუნველყოს ავტოსაგრანსპორტო საშუალების გექდათვალიერება. მომხმარებელს მისი სურვილის შემთხვევაში შეუძლია წინასწარ გადაიხადოს მისაღები მომსახურების საფასური.

1.2 მომავალში ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, „კომპანია“ აცხადებს, რომ იგი არის შუამავალი მომხმარებელსა და ავტოსაგრანსპორტო საშუალების გექდათვალიერების სერვისის ცენტრ(ებ)ს შორის და მომხმარებლის მიერ შეძენილი/გაწეული მომსახურების ხარისხზე „კომპანია“ არ არის იღებს რაიმე სახის ვალდებულებას და შესაბამისად, მას არ შეიძლება დაეკისროს რაიმე სახის პასუხისმგებლობა.

## 2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი:

### 2.1. „კომპანია“ ვალდებულია:

2.1.1 უზრუნველყოს ვებ-გვერდის გამართულად მუშაობა;

2.1.2 დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობები;

### 2.2. „კომპანია“ უფლებამოსილია:

2.2.1 დაამუშავოს მომხმარებლის პირადი მონაცემები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით. პირადი მონაცემები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება - მომხმარებლის მიერ ვებ-გვერდზე რეგისტრაციისას „კომპანიისთვის“ მიწოდებულ ინფორმაციას, კერძოდ, პირადი ნომერს, დაბადების თარიღს, მისამართს, მეილს, მობილური ტელეფონის ნომერს.

2.2.2 ამ მუხლის 2.2.1 პუნქტში აღნიშნული ინფორმაციის გარდა ასევე დაამუშავოს ავტოსაგრანსპორტო საშუალების ტექდათვალიერების სერვისის ცენტრ(ებ)ში ტექდათვალიერების დროს სერვისის ცენტრის მიერ მოპოვებული ინფორმაცია, რომელიც შეეხება ავტოსაგრანსპორტო საშუალებას, კერძოდ, ავტოსაგრანსპორტო საშუალების მახასიათებლებს (საგრანსპორტო საშუალების მარკა, გამოშვების წელი, სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი, ტექპასპორტის ნომერი და სხვა). „კომპანია“ აგრეთვე უფლებამოსილია დაამუშავოს ავტოსაგრანსპორტო საშუალებისთვის ტექდათვალიერების დროს გამოვლენილი ხარვეზების თაობაზე სერვისის ცენტრ(ებ)ის მიერ მიღებული ინფორმაცია.

2.2.3 ყოველგვარი ორანზონების გამოსარიცხად ამ მუხლის 2.2.1 და 2.2.2 პუნქტებში მითითებული ინფორმაციის „კომპანიის“ მხრიდან მონაცემთა დამუშავება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას, კერძოდ, მათ შეგროვებას, ჩაწერას, ფოტოზე აღბეჭდვას, აუდიოჩაწერას, ვიდეოჩაწერას, ორგანიზებას, შენახვას, შეცვლას, აღდგენას, გამოთხოვას, გამოყენებას ან გამჟღავნებას მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფებას ან კომბინაციას, დაბლოკვას, წაშლას ან განადგურებას. „კომპანია“ უფლება აქვს გამოიყენოს აღნიშნული ინფორმაცია სარეკლამო მიზნებისთვის, რა დროსაც „კომპანია“ უფლებამოსილია მომხმარებლის მიერ, რეგისტრაციის დროს მითითებულ მობილურ ნომერზე ან/და ელ-ფოსტაზე გააგზავნოს სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებები, რომელიც შესაძლოა ასევე ეხებოდეს უშუალოდ სერვისის ცენტრ(ებ)ის მიერ ტექდათვალიერებისას გამოვლენილი/დადგენილი ხარვეზების აღმოფხვრის გზებს და საშუალებებს. „კომპანიის“ მხრიდან ინფორმაციის დამუშავება ასევე გულისხმობს „კომპანიის“ უფლებამოსილებას შეუძლებლად გასცეს ზემოაღნიშნული ინფორმაცია მესამე პირებზე, რომლებიც აგრეთვე უფლებამოსილი არიან მომხმარებელს გაუგზავნონ ამ პუნქტით გათვალისწინებული სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებები.

2.2.4 ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს აცნობოს ინფორმაცია თითოეულ მომხმარებელზე, რომელიც ჩართულია თაღლითურ საქმიანობაში. „კომპანიას“ შეუძლია ნებისმიერ დროს დაბლოკოს მომხმარებელი განუსაზღვრელი დროით, წინამდებარე წესებისა და პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში.

2.2.5 უსაფრთხოების მაღალი დონის შესანარჩუნებლად და მომხმარებლის უსაფრთხოების დასაცავად, განახორციელოს უსაფრთხოების სისტემის არარეგულარული შემოწმებები. მომხმარებელი, თავის მხრივ, აღიარებს, რომ კომპანიას უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია მომხმარებლის, იდენტიფიცირებისათვის, უსაფრთხოების სისტემის შემოწმების შემთხვევაში.

2.2.6 დაბლოკოს მომხმარებლები, რომლებმაც მიუთითეს არასწორი/ცრუ მონაცემები.

### 2.3. „მომხმარებელი“ ვალდებულია:

2.3.1. რეგისტრაციისას მიუთითოს მხოლოდ მუსტი და უცუარი მონაცემები;

2.3.2. გამოიყენოს მომსახურება მხოლოდ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით და წესების დაცვით;

2.3.4. თუკი მომხმარებლისთვის გახდება ცნობილი, რომ პროგრამული უზრუნველყოფა შეიცავს შეცლომებს ან ხარვეზებს, მომხმარებელი იღებს ვალდებულებას არ გამოიყენოს ისინი რაიმე სახის მოგების/სარგებლის მისაღებად.

### **მხარეთა პასუხისმგებლობა**

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები ვალდებული არიან ნაკისრი ვალდებულებები შეასრულონ კეთილსინდისიერად, წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

3.2. “კომპანია” არ არის პასუხისმგებელი მომხმარებლის მიერ მისი პირადი მონაცემების გამჟღავნების ან/და დაკარგვის შემთხვევებში.

3.3. “კომპანია” არ არის პასუხისმგებელი მომხმარებლის მიერ მითითებული მონაცემების სისწორეზე;

3.4. მხარეები სრულად აგებენ პასუხს ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანისათვის;

3.5. “მომხმარებელი” პასუხისმგებელია კომპანიის ინტელექტუალური საკუთრების დაცვაზე, რაც გულისხმობს, რომ მომხმარებელი/მესამე პირი არ არის უფლებამოსილი შექმნას ვებ. გვერდის მსგავსი დიზაინის მქონე სხვა ვებ. გვერდი ან/და იმგვარად გამოიყენოს ვებ. გვერდზე არსებული ფოტო, ვიდეო და აუდიო მასალა რაც გამოიწვევს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი უფლებების დარღვევას.

3.6. „კომპანია“ იგოვებს უფლებას სრულად თავისი შეხედულებისამებრ შეაჩეროს ნებისმიერი მომხმარებლის პროფილის გამოყენების შესაძლებლობა, რომელიც გამოყენებულია არაკეთილსინდისიერად იმ პირის მიერ, რომელიც „კომპანიის“ ამრით ფლობდა შიდა ინფორმაციას ან/და დაკავშირებულია მესამე პირებთან და მოქმედებდა მათთან ერთად ან/და ნებისმიერი სხვა სახით დაკავშირებულია ასეთ მესამე პირთან და აღნიშნულზე კომპანიას გააჩნია გონივრული ეჭვი.

3.7. თქვენ მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია საკრედიტო ბარათთან დაკავშირებით, შეინახება „კომპანიის“ პარტნიორი ბანკის მონაცემთა ბაზაში, რომელზეც კომპანიას არ აქვს წვდომა და შესაბამისად, სწორედ პარტნიორი ბანკი არის სრულად პასუხისმგებელი აღნიშნულ ინფორმაციაზე.

### **4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მომხმარებლის მიერ ვებ. გვერდ PTI.GE -ზე რეგისტრაციის სრულყოფილად გავლის შემდგომ და ძალაშია მომხმარებლის მიერ ვებ. გვერდ PTI.GE -ზე რეგისტრაციის გაუქმების მომენტამდე. მომხმარებლის მიერ ვებ. გვერდ - PTI.GE -ზე რეგისტრაციის გავლა გულისხმობს მომხმარებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერას და აღნიშნული არ შეიძლება გახდეს სადავო მომხმარებლის ან/და ნებისმიერი მესამე პირის მიერ.

### **5. ფორს-მაჟორი**

5.1. გადაულახავი დაბრკოლებების გაჩენას, რომლებზეც არც ერთ მხარეს არ შეუძლია იქონიოს ზეგავლენა, მხარეები განიხილავენ, როგორც ფორს მაჟორულ გარემოებებს.

5.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა.

5.3. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მათ შეცლომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

### **6. დასკვნითი ღებულებები**

6.1. მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ უთანხმოებათა წარმოქმნის შემთხვევაში, მხარეები შეეცდებიან შეთანხმების მიღწევას მოლაპარაკების გზით.

6.2. თუ უთანხმოების წარმოქმნის მომენტიდან 10 დღის განმავლობაში მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, სადავო საკითხის განხილვა შესაძლოა სასამართლო წესით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. მხარეები აქვე თანხმდებიან, რომ “კომპანიას” სასარგებლოდ მიღებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად.